



forbo

flotex®

ბიონიკური დამბეჭდვები
ნიშნის საფარში

WWW.BAUFLEXY.GE



ბაუფლექსი
BAUFLEXY



flotex® - ბიონიკური¹ ტექნოლოგიები იატაკის საფარში

ბიონიკური ტექნოლოგიები გულისხმობს ბუნებაში არსებული მეთოდებისა და სისტემების გამოყენებას ადამიანის მიერ შექმნილ პროცესებსა და პროდუქტებში. ასეთი დაბალანსებული შერწყმა წარმოადგენს მაღალეფექტური და ოპტიმალური პროდუქტის შექმნის წინაპირობას. ბიონიკური ტექნოლოგიების გამოვლენის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევა წყლისა და ტალახის მიმართ მდგრადი ზედაპირის ტექნოლოგიური სისტემის შემუშავება, რომელიც ალეგებულობს ლოტოსის ყვავილის ფურცლის ზედაპირის სტრუქტურაზე დაკვირვების შედეგად.

როგორ ვლინდება ბიონიკური ტექნოლოგიები flotex®-ის იატაკის საფარში?

flotex არ წარმოადგენს არც იატაკის ელასტიურ საფარს და არც ხალიჩას, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. მისი უნიკალური კონსტრუქცია წარმოადგენს ამ კატეგორიების საუკეთესო თვისებების ჰარმონიულ შერწყმას, რაც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას არა მარტო საცხოვრებელ, არამედ მაღალი დატვირთვის მქონე კომერციულ ობიექტებზე (EN 685-ის მიხედვით, flotex შეესაბამება ინტენსიური კომერციული გამოყენების 33-ე კლასს).

საფარის 1მ²-ზე არის დაახლოებით 80მლნ ცალი „ნეილონი 6.6“²-ის ე.წ. „ფლოკი“ (ბუსუსი), რომელიც ერთი მხრივ ბამბუკის ღეროსავით მტკიცეა და მეორე მხრივ, სიარულის დროს ქმნის კომფორტის ისეთივე განცდას, როგორც ფეხშიშველი სიარული ხავსზე.

¹ ბიონიკა (ძვ.ბერძნული βίον — ცოცხალი არსება) - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ბუნების ორგანიზაციის პრინციპების, თვისებების, ფუნქციისა და სტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობებს ადამიანის მიერ შექმნილ ტექნიკურ მოწყობილობებსა და სისტემებში.

² „ნეილონი 6.6“- ნეილონი წარმოადგენს დღეისთვის ყველაზე გავრცელებულ პოლიმერს, რომელიც შედგება წყალბადის, აზოტის, ჟანგბადისა და ნახშირბადისგან. მეცნიერები დიდხანს ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი ხელოვნური მასალა, რომელიც თავისი თვისებებით იქნებოდა ცხვრის მატყლის ბეწვის ანალოგიური. 1935 წელს, კომპანია “DuPont“-ში მომუშავე ჯგუფმა, დოქტორ ვოლოს კაროტერზის ხელმძღვანელობით, მოახდინა ამ პოლიმერის სინთეზირება, რაც წარმოადგენდა რევოლუციურ გადართილებას საფეიქრო ინდუსტრიაში. “ნეილონი 6.6“-ის ქიმიურ ბმაში, პოლიმერის ჯაჭვის ყოველი განმეორებადი რგოლი მოიცავს წყალბადის 6 ატომისაგან შემდგარ მონაკვეთს, მაშინ როდესაც ნეილონის სხვა ტიპებში ამ ატომების რიცხვი სხვადასხვაა.



გეკონის (ლათ.: *Gekkonidae*. ხვლიკისებრთა ოჯახის წარმომადგენელი) თათის ზედაპირის თვისებების იმიტირებით, საფარის ანტიმოცურებადი თვისებები (R12) ნარჩუნდება როგორც მშრალ, ასევე სველ მდგომარეობაში.

flotex, ფუტკრის მსგავსად, იკრავს ჰაერში არსებულ მტვრის ნაწილაკებსა და ალერგენებს და წმენდის დროს მარტივად თავისუფლდება მათგან.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, flotex წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ „კავროლინს“ ბიონიკური თვისებებით, რომელიც აერთიანებს ელასტიური იატაკების უპირატესობებს, კერძოდ, გამძლეობასა და ექსპლოატაციის ხანგრძლივ ვადას, ხალიჩის კომფორტთან, სიმყუდროვესთან, სითბოსა და აკუსტიკასთან.




flotex ერთადერთი ნამდვილად წყალგაუმტარი და რეცხვაგამძლე რბილი იატაკია, რომელიც ფერის, ზომის, შეხამებისა და შერწყმის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა და ერგება ნებისმიერ დიზაინერულ ჩანაფიქრს.

flotex®-ის უნიკალური კონსტრუქცია

პროდუქტის უნიკალურობას განაპირობებს მისი კონსტრუქცია, რომელიც შედგება შემდეგი ფენებისაგან:

1. გადამუშავებული ნედლეულისაგან დამზადებული პოლივინილქლორიდის ფენა
2. მინაბოჭკო ფორმის სტაბილიზაციისათვის
3. პოლივინილქლორიდისა და შალის ფენა
4. სინთეტიკური ბოჭკოს („ნეილონი 6.6“) ზედაპირი, 80 მლნ ე.წ. „ფლოკით“ (ბუსუსით) კვადრატულ მეტრზე






სწორედ აღნიშნული უნიკალური შემადგენლობის წყალობით, flotex-ის რბილი იატაკი ისეთივე გამძლე და ადვილად მოსავლელია, როგორც ელასტიური იატაკი. ნეილონის ბოჭკოები არამხოლოდ ხმის აბსორბციას ახდენს, არამედ შთანთქავს ჰაერში არსებულ ალერგენებსა და მტვერს, რომელიც შემდგომ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მარტივად იწმინდება, როგორც სველი, ასევე მშრალი წესით დალაგებისას. მტვერსასრუტით ყოველდღიური წმენდა სრულიად საკმარისია ჩამჭდარი მტვრის ან ქუჩის ასაღებად, თუმცა დასაშვებია ორთქლის საწმენდი აპარატის გამოყენებაც ძლიერი დაქუჩიანებისას.

მარტივი წმენდის შემდეგ flotex-ის იატაკის საფარს უბრუნდება პირველადი სახე - ფერები და ტექსტურა ისეთივე ცოცხალი და ხასხასა ხდება, როგორც ინსტალაციის დღეს.

რატომ flotex?

flotex აერთიანებს ყველა იმ უნიკალურ თვისებასა და უპირატესობას, რისი მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეს მომხმარებელს თანამედროვე და ინოვაციური იატაკის საფარისგან, კერძოდ:

- მოვლისა და წმენდის მნიშვნელოვანი სიმარტივე სხვა ტიპის რბილ საფართან შედარებით - თითქმის ყველა სახის ხალიჩის დამაბინძურებელი რეაგენტის (მ.შ. წითელი ღვინის, კეტჩუპის, მდოგვის და ა.შ.) გაწმენდის მარტივი შესაძლებლობა ჯაგრისით, წყლითა და ნაჭრით. რეგულარული მოვლისთვის განკუთვნილი აპარატი (მტვერსასრუტი) მიეკუთვნება ჩვეულებრივი სამომხმარებლო მტვერსასრუტების ფასის კატეგორიას;
- flotex-ს შეუძლია „დაფაროს“ ქუჩი და მტვერი. ქუჩისამტანობის ხარისხი დამოკიდებულია ფერსა და დიზაინზე. flotex-ის დიზაინები იქმნება უამრავი ცდისა და ტესტირების საფუძველზე და თითოეულ პროდუქტს მინიჭებული აქვს კლასიფიკაცია (უმაღლესი, კარგი ან საშუალო), იმის მიხედვით, თუ რამდენად არ იტყობს დაბინძურებას;
- მაღალი ცვეთამდეგობა (ინტენსიური კომერციული გამოყენების 33-ე კლასი) და კომფორტი (ამორტიზირებადი ქვეშაგების ხარჯზე);



- ხანგრძლივი საექსპლუატაციო (მინიმუმ 20 წელი) და არასტანდარტული საგარანტიო ვადა/პირობები;
- სინთეტიკური ბოჭკოს („ნეილონი 6.6“) ზედაპირის წყალობითა და 80 მლნ ე.წ. „ფლოკით“ (ბუსუსით) კვადრატულ მეტრზე, flotex ცხრაჯერ უფრო მტკიცე და გამძლეა, ვიდრე ნებისმიერი კომერციული გამოყენების ხალიჩა;
- flotex დამუშავებულია მაღალეფექტური ანტიმიკრობული სისტემით - „Sanitized“, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ და მუდმივ დაცვას მიკრობებისგან, როგორებიცაა ოქროსფერი სტაფილოკოკი, ნაწლავის ჩხირები, მტვრის ტკიპები, ტერფის სოკო და ა.შ.;
- ანტიალერგიულობა - Allergy UK-ის (ალერგიულ დაავადებებთან ბრძოლის უმსხვილესი ბრიტანული ორგანიზაცია) თანახმად, flotex-ს აქვს პოზიტიური გავლენა იმ ადამიანთა ცხოვრებაზე, რომლებიც იტანჯებიან ალერგიული დაავადებებითა და ასთმით. ზედაპირზე განლაგებული ნეილონის ბოჭკოები შთანთქავენ ჰაერში არსებულ ალერგენებსა და მტვერს, მარტივი წმენდისას კი გამოათავისუფლებენ ორჯერ მეტ საშიშ ალერგენს, ვიდრე სტანდარტული ხალიჩა;
- აღნიშნულ საფარს არ „ეშინია“ წყლის და 100%-ით წყალგაუმტარია. აქედან გამომდინარე, ხალიჩების სფეროში წარმოადგენს იმ იშვიათ გამონაკლისს, რომლის რეცხვაც შეიძლება;
- პროდუქციაში გამოყენებული საღებავები დამზადებულია წყლის ბაზაზე. ფერების სიმკვეთრის უზრუნველსაყოფად ხდება მაღალ ტემპერატურულ რეჟიმში ორთქლით დამუშავება. წარმოება არ საჭიროებს დამატებით ქიმიურ პროცესებს;
- ხმის იზოლაციის („A“ კლასი) და დარტყმითი ხმის შთანთქმის (20dB-მდე) კარგი მაჩვენებლები;
- როგორც მშრალ, ასევე სველ მდგომარეობაში ანტიმოცურების მაღალი მაჩვენებელი (R12);



- კოლექციების დამასშიშემაგალი დიზაინების დიდ რაოდენობა - დღეისათვის flutex წარმოდგენილია 11 კოლექციით და მათში შემაგალი 1000-ზე მეტი დიზაინით. ამასთან, მომხმარებლის მოთხოვნით, შესაძლებელია ნებისმიერი დიზაინის საფარის მაღალი რეზოლუციით დაბეჭდვა. კოლექციებისა და დიზაინების რიცხვი მუდმივად იზრდება;
- სხვადასხვა ზომის ფილების (50X50სმ და 25X100სმ) ფორმატი საფარის დიზაინის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა;

ტექნიკური მახასიათებლები

სისქე	ISO 1765	4.3 მმ რულონური, 5.3მმ ფილა
კომერციული გამოყენება	EN 685/ISO 10874	კლასი 33, მაღალი დატვირთვის
რულონის სიგანე		2.0 მ
რულონის სიგრძე		30 მ
ფილების ზომა (სიგრძე, სიგანე)		50სმ*50სმ, 25სმ*100სმ
ზომის სტაბილურობა	ISO 2551 / EN 986	რულონური <0.2%
ცვეთამდეგობის კლასი	EN 1307 annex F	>1000 ციკლი
ფეხის მოცურების რისკი	UK SRG pendulum	მშრალ იატაკზე - ძალიან დაბალი
აკუსტიკა	EN-ISO 7 17-2	დარტყმითი ხმის იზოლაცია=20 DB
ხანძარმდეგობის კლასი	EN 13501	Bfl- S1
თბოგამტარობა	ISO 8302	რულონური 0.048 m2 K/W



ბაუფლექსი
BAUFLEXY



იატაკის საფარები



შეკიდული ფერები



ბანათების სისტემები



სამშენებლო ქიმიკა



იზოლაცია

Forbo Flooring Systems-ის
დილერი საქართველოში
შპს ბაუფლექსი

www.bauflexy.ge

ბელიაშვილის ქ. 106, თბილისი, სამართავლო, 0159
info@bauflexy.ge
+995 32 204 88 84















